ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

13 აგვისტო 2025

N 398

ქ. თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარების შესახებ

,,განგრძობითი განათლების სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 18 აგვისტოს N6-13 ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, 2025 წლის 26 ივნისს სამსახურისათვის წარდგენილ იქნა საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის (შემდგომში - აბფმფ) N#-ფა/2-05 წერილი (სამსახურში რეგისტრაციის N99801/16; 26.06.2025) განგრძობითი განათლების პროგრამის შესახებ. აბფმფ-ს მიერ სამსახურს საბოლოო სახით დაკორექტირებული განგრძობითი განათლების პროგრამა წარედგინა 2025 წლის 11 აგვისტოს N#-ფა/2-09 წერილით (სამსახურში რეგისტრაციის N126885/16; 11.08.2025).

,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, ,,განგრძობითი განათლების სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 18 აგვისტოს N6-13 ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტისა და სამსახურის აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტის მეორადი სტრუქტურული ერთეულის (პროფესიული განათლების ზედამხედველობისა და რეესტრების წარმოების სამმართველო) ხელმძღვანელის ფუნქციების შემსრულებლის და მეორადი სტრუქტურული ერთეულის (მონიტორინგისა და მოკვლევის სამმართველო) პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (აუდიტის ზედამხედველობის ინსპექტორი) დავით სხილაძის 2025 წლის 12 აგვისტოს N72051-16 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დასრულდეს აბფმფ-ის აუდიტორების განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარებასთან დაკავშირებული წარმოება;
2. მოთხოვნა დაკმაყოფილდეს და აღიარდეს 2025 წლის 11 აგვისტოს N#-ფა/2-09 კორესპონდენციით წარმოდგენილი განგრძობითი განათლების 2025 წლის პროგრამა;
3. მიენიჭოს აბფმფ-ის აუდიტორების განგრძობითი განათლების პროგრამას ნომერი - SARAS-CPD025/25;

4. დაევალოს სამსახურის შესაბამის თანამშრომლებს აბფმფ-ს მიერ წარმოდგენილი პროგრამის სტანდარტთან და კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მონიტორინგის განხორციელება, ხოლო აბფმფ-ს - ლექციაზე მსმენელთა ელექტრონულად დასწრებისათვის გათვალისწინებული, ელექტრონული უზრუნველყოფის (შესაბამისი ბმულების) შესახებ ინფორმაციის სამსახურისათვის მიწოდება;

5. დაევალოს აბფმფ-ს აღიარებული აუდიტორების განგრძობითი განათლების პროგრამის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნება (www.gfaafm.ge);

6. გადაწყვეტილება გაეგზავნოს აბფმფ-ს ბრძანების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) დღის ვადაში;

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64).

თორნიკე ძაგნიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტი

https://edoc.mof.ge/public/#/398-16-4-202508131218